



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 11

02 / აპრილი / 2018 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის № 19 დადგენილებით დამტკიცებული „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს 90-ემუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- 1.დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.“
- 2.განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე



07

თამარ ყვინიშვილი

# ანგარიში ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## საშემოსავლო ნაწილი

### შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის იანვარ-დეკემბერში შემოსულობების გეგმა განსაზღვრული იყო 11298,4 ათასი ლარით. ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 11391,0 ათასი ლარი. წლიური გეგმის 100,8%. (საკუთარი შემოსულობების გეგმა შეადგენდა 7665,3 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 7776,1 ათასი ლარი.)

- შემოსავლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო - 11 233,3 ათ. ლარით, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 11 318,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 100,7%(საკუთარი შემოსავლების ოდენობა გეგმით შეადგენდა 7600,3 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 7703,9 ათასი ლარი).
- არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა განსაზღვრული იყო- 65,0 ათ. ლარით. 12 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 72,2 ათ. ლარი. წლიური გეგმის 111,1 %.

### შემოსავლები:

2017 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული შემოსავლების ოდენობამ წლიური გეგმის მიმართ შეადგინა 100,7 %-ი, მათ შორის:

ა) გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2100,0 ათასი ლარი ფაქტიურად მიღებული იქნა 2023,3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 96,3 %. საიდანაც

- საშემოსავლო გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 455,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 320,8 ათასი ლარი.

-ქონების გადასახადის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1645,0 ათ. ლარი. ხოლო ფაქტიურად მიღებული იქნა 1702,4 ათ. ლარი. აქედან,

- საქარმოთა ქონების გადასახადიდან მიღებული შემოსავლების მოცულობამ შეადგინა 1072,8 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მოცულობის (1065,0 ათასი ლარი) 100,7 %.
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 561,8 თასი ლარი წლიური საპროგნოზო მოცულობის(524,0ათასი ლარი) 107,2 %.
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან მიღებულმა ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 62,8 ათასი ლარი. წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (56,0 ათასი ლარი) 112,2%.

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტების( ტრანსფერები) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 8310,7 ათასი ლარი.ფაქტიურად მიღებული იქნა 8292,5 ათასი ლარი.მათ შორის:

- გათანაბრებითი ტრანსფერის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4547,6 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია 4547,6 ათ. ლარი.
- მიზნობრივი ტრანსფერის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) შეადგინა 130,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულია 130,0 ათ. ლარი.
- ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიღებული იქნა 3614,9 ათასი ლარი,აქედან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული იქნა 2570,1 ათასი ლარი, ხოლო მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან-1044,8 ათასი ლარი.

გ) სხვა შემოსავლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 822,7 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1003,0 ათ. ლარი. წლიური გეგმის 121,9 %. აქედან:

- ბანკის პროცენტის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 70,7 ათ. ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 89,6 ათ. ლარი. წლიური გეგმის 126,7%.
- ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 500,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 635,3 ათ. ლარი, წლიური გეგმის 127%.
- მიწის იჯარიდან შემოსავლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 42,0 ათ. ლარი. ფაქტიურად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 53,3 ათასი ლარი.
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსვლების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 60,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 77,0 ათასი ლარი. აქედან :
- სანებართვო მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 21,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 22,7 ათ. ლარი.
- დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 19,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 23,3 ათ. ლარი.
- შემოსავლების ფაქტიურმა ოდენობა შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან შეადგინა 30,0 ათასი ლარი
- ჯარიმებიდან და სანქცია-საურავების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 150,0 ათ. ლარი. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 147,5 ათ. ლარი.

### **მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთების საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის**

2017 წლის 1 იანვრისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტში ნაშთის სახით ირიცხებოდა 1832,3 ათასი ლარი (სახელმწ. ბიუჯეტის სახსრებიდან 691,3 ათასი ლარი, საკუთარი სახსრების ნაშთიდან 1141,1 ათასი ლარი), რომელიც ბიუჯეტის ცვლილების შედეგად ასახული იქნა ხარჯებში. 2017 წლის ბოლისათვის ბიუჯეტის ნაშთის ოდენობამ შეადგინა 894,0 ათასი ლარი. 2018 წლის ხარჯებში აისახა 830,3 ათასი ლარი. (სახელმწ. ბიუჯეტის სახსრების ნაშთმა შეადგინა 220,0 ათასი ლარი, საიდანაც 156,3 ათასი ლარი ასახულია 2018 წლის ხარჯებში. საკუთარი სახსრების ნაშთმა შეადგინა 674,0 ათასი ლარი) .

### **გადასახდელები ( ხარჯები )**

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის გეგმით გასაწევი გადასახდელები განისაზღვრა 13130,7 ათ. ლარით. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 12368,1 ათ. ლარი. საკუთარი სახსრებით გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 8214,7 ათასი ლარი.

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

1. შრომის ანაზღაურების მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1203,4 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1150,4 ათასი ლარი;
2. საქონელი და მომსახურების მუხლით წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 999,1 ათასი ლარი. გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 874,0 ათ. ლარი.
- 2.1. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიური გეგმის ოდენობა განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 143,9 ათასი ლარი

- 2.2. მივლინების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 34,8 ათასი ლარი. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 31,5 ათასი ლარი, საიდანაც ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დაიხარჯა 20,4 ათასი ლარი.
- 2.3. ოფისის ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 360,9 ათასი ლარი. გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 325,3 ათასი ლარი.
- 2.4. წარმომადგენლობითი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 43,1 ათასი ლარი, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 40,9 ათასი ლარი.
- 2.5. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 193,1 ათასი ლარი . გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 189,5 ათასი ლარი.( აქედან თუშეთის მიმართულებით ავიარების ხარჯი შეადგენს 25,5 ათას ლარს)
- 2.6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 217,6 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 140,4 ათასი ლარი.
3. სუბსიდიების მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 4120,5 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 4079,0 ათასი ლარი.
4. სოციალური უზრუნველყოფის მუხლით წლიური გეგმა გათვალისწინებული იყო 391,3 ათასი ლარი. გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 356,7 ათასი ლარი.
5. სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმა განისაზღვრა 234,5 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 222,8 ათასი ლარი.
6. არაფინანსური აქტივების ზრდა წლიური გეგმით განისაზღვრა 6084,1 ათასი ლარით, გაწეული ხარჯების ოდენობამ შეადგინა 5591,7 ათასი ლარი.
7. ვალდებულებების კლების მუხლით 2017 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 88,2 ათასი ლარი. გადახდამ შეადგინა 84,5 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის გადასახდელები ორგანიზაციულ ჭრილში

### მუნიციპალიტეტის საკრებულო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯების 2017 წლის გეგმა განისაზღვრა 474,5 ათ. ლარით. ფაქტიურად გაიხარჯა - 432,0 ათ. ლარი. გეგმის 91%

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების წლიური გეგმა განისაზღვრა 332,0 ათას ლარით. ათვისებულია 296,1 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურების წლიური გეგმა განისაზღვრა 141,5 ათას ლარით. ათვისებულია 135,8 ათ. ლარი.
- 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიური გეგმა განისაზღვრა 13,2 ათასი ლარით. ათვისებულია 10,6 ათ. ლარი.
- 2.2 მივლინების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 5,2 ათასი ლარით. ათვისებულია 2,5 ათ. ლარი. მათ შორის ქვეყნის გარეთ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1,9 ათ. ლარი
- 2.3 ოფისის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 9,2 ათასი ლარით. ათვისებულია 9,2 ათ. ლარი.

- 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 4,0 ათასი ლარით. ათვისებულია 3,5 ათ. ლარი.
- 2.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა - შენახვის ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 35,5 ათასი ლარით. ათვისებულია 35,5 ათ. ლარი.
- 2.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 74,6 ათასი ლარით ათვისებულია 74,1 ათ. ლარი.

### **მუნიციპალიტეტის გამგეობა**

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 1417,7 ათ. ლარით. ფაქტიურად ათვისებული იქნა 1355,8 ათ. ლარი. გეგმის 95,6%

მათ შორის:

- 1. შრომის ანაზღაურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 814,0 ათასი ლარით. ათვისებულია 799,5 ათასი ლარი.
- 2. საქონელი და მომსახურების წლიური გეგმა განისაზღვრა 490,8 ათასი ლარით. ათვისებულია 458,9 ათ. ლარი.
  - 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 131,0 ათასი ლარით. ათვისებულია 129,6 ათ. ლარი.
  - 2.2 მივლინების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 23,8 ათასი ლარით. ათვისებულია 23,4 ათ. ლარი. მათ შორის ქვეყნის გარეთ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 16,2 ათ. ლარი.
  - 2.3 ოფისის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 126,0 ათასი ლარით. ათვისებულია 114,3 ათ. ლარი.
  - 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 39,1 ათასი ლარით. ათვისებულია 37,4 ათ. ლარი.
  - 2.5 ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯის წლიური გეგმა განისაზღვრა 105,9 ათასი ლარით. ათვისებულია 103,7 ათ. ლარი.
  - 2.6 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 65,0 ათასი ლარით. ათვისებულია 49,3 ათ. ლარი.
- 3. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ფაქტიური შესრულება შეადგენს 24,6 ათ. ლარს.
- 4. არა ფინანსური აქტივები ზრდის (კაპიტალური) წლიური გეგმა განისაზღვრა 66,0 ათ. ლარით. ხარჯი ფაქტი შეადგენს 51,1 ათ. ლარს. (მუნიციპალიტეტის შენობის ოთახების რეაბილიტაცია; დუისის ადმინ. შენობის რეაბილიტაცია)

### **სარეზერვო ფონდი**

2017 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 81,0 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა 12 თვეში შეადგინა 22,0 ათასი ლარი, რომელიც გახარჯული იქნა შემდეგი სახის სამუშაოებისა და საქონლის დასაფინანსებლად:

- სოფ. ოჟიოს სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა - 2200 ლარი ;
- ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური დახმარება - 16937 ლარი.
- სოფ. კასრისწყალში მცხოვრებთათვის საწვავი შეშის ტრანსპორტირება - 2850 ლარი.

## შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები

შესყიდვებთან დაკავშირებულმა ხარჯმა შეადგინა 6,0 ათ. ლარი. წლიური გეგმა იყო 6,6 ათ. ლარი.

### ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალღების ხელშეწყობა

#### **სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.**

წლიურმა გეგმამ შეადგინა 72,2 ათას ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 68,8 ლარი. შესრულება 95,3 %.

1. შრომის ანაზღაურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 57,4 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 54,2 ათასი ლარი . შესრულება 94,4%.
2. საქონელი და მომსახურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 14,8 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 14,5 ათასი ლარი. შესრულება 97,9 %.
- 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების წლიურმა გეგმამ შეადგინა 5,4 ათ. ლარს. ფაქტიურად გაიხარჯა 3,6 ათასი ლარი . შესრულება 66,6%.

### ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2017 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის, მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციის ხარჯების წლიური გეგმა განისაზღვრა 5 949,7 ათ.ლარით, ფაქტიურად გაიხარჯა 5 655,1 ათასი ლარი.

#### **გზების, ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია მოვლა- პატრონობა**

- გზების, ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯების წლიური გეგმა - 3 957,4 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 3 767,6 ათ. ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 3 317,0 ათ. ლარი.

- ქ. ახმეტაში ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთების სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 693,3 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილია 629,8 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 63,5 ათასი ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 691,9 ათასი ლარი.(მ.შ. ადგ ბიუჯ.62,1 ათასი ლარი) საკასო შესრულებამ შეადგინა 657,7 ათასი ლარი, აქედან 59,3 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
- ქ. ახმეტაში ოძელაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 142,3 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილია 135,0 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 7,1 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 125,5 ათასი ლარი. საკასო ხარჯმა კი- 121,8 ათასი ლარი, მ.შ 6.2 ათ. ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
- სოფელ ფიჩხოვანთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 485,9 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილია 439,8 ათ.ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 46,1 ათასი ლარი.

ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 483,7 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა- 459,5 ათასი ლარი, მ. შ 43,6 ათ. ლარი ადგ. ბიუჯეტიდან.

- სოფელ ზ. ხოდაშნის შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 266,7 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილია 241,4 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 25,3 ათასი ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 254,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 241,3 ათასი ლარი. მ.შ 23,0 ათასი ლარი ადგ. ბიუჯეტიდან.
- ქ. ახმეტაში თბილისის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 276,1 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1401 განკარგულებით გამოყოფილია 262,3 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 13,8 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 276,0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა-262,2 ათასი ლარი. მ.შ ადგ. ბიუჯეტიდან 13,0 ათ. ლარი.
- ქ. ახმეტაში ყვარლის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 126,9 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1401 განკარგულებით გამოყოფილია 120,6 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 6,3 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 126,9 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა- 120,5 ათასი ლარი, მ.შ. ადგ. ბიუჯეტიდან 6,0 ათ. ლარი
- ახმეტა ბაწარის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 407,3 ათასი ლარი , აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის N 693 განკარგულებით გამოყოფილია 387,0 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 20,3 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 407,3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა- 397,0 ათასი ლარი. მ.შ 19,8 ათ. ლარი ადგ. ბიუჯეტიდან.
- სოფელ ყვარელწყლის შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 441,9 ათასი ლარი , აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის N 693 განკარგულებით გამოყოფილია 418,9 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 23,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობამ შეადგინა 441,9 ათასი ლარი. ხოლო საკასო ხარჯმა - 430,9 ათასი ლარი. მ.შ ადგ. ბიუჯეტიდან 22,4 ათ. ლარი.
- 2016 წელს სოფელ დართლო-ჩილოს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 1251 განკარგულებით გამოყოფილი იყო 660,3 ათასი ლარი, ხოლო ადგილ. ბიუჯეტის თანადაფინანსებით 34,7 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები ფაქტიურად განხორციელდა 2017 წელს, რისთვისაც 2016 წლის ნაშთიდან გახარჯული იქნა 486,5 ათასი ლარი. მ.შ. ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან 24,3 ათასი ლარი.
- სოფ. მატნის შიდა გზის რეაბილიტაციის თანადაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან გაიხარჯა 42,7 ათ. ლარი( გადაერიცხა მუნიციპალური განვითარების ფონდს)
- ახმეტის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული (50 000 ლარზე მეტი ღირებულების) პროექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებისთვის შექმნილ შპს „საინჟინრო-მონიტორინგის“ ჯგუფს გადაერიცხა სულ 61,6 ათ. ლარი. მ.შ ა/ზ 5,3 ათ. ლარი.
- დუისის - ქვ. ხალაწნის ხიდის მოწყობითი სამუშაოებისათვის გათვალისწინებული იყო 177,1 ათასი ლარი. აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის N 693 განკარგულებით გამოყოფილი იყო 156,6 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 173,9 ათასი ლარი. მ.შ ა/ზ 17,3 ათ. ლარი.
- თუშეთის შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს მოხმარდა 74,9 ათასი ლარი.
- სოფელ კასრისწყალთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 24,2 ათასი ლარი.

## **წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე და ექსპლუატაციაზე წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 415,0 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 403,0 ათასი ლარი .

- სოფელ ოჟიოს წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების გეგმა - 237,0 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილი იყო 196,2 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 40,8 ათასი ლარი. აღნიშნული სამუშაოები დასრულებული და დაფინანსებულია სრულად.
- სოფელ ოჟიოს სასმელი წყლის რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გაიხარჯა 13,0 ათ. ლარი.
- სოფელ მატნის სასმელი წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 2016 წელს გამოყოფილი იქნა 264,2 ათასი ლარი (საქ. მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის №175 განკარგულებით 237,3 ათ. ლარი) 2017 წელს აღნიშნული სამუშაოების დასრულებას მოხმარდა 97,3 ათასი ლარი. (ც.ბ.-დან 72,0 ათასი ლარი, ადგ. ბიუჯეტიდან 25,3 ათასი ლარი) რომელიც გაიცა 2016 წლის ნაშთიდან.

## **სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

წლიური გეგმა - 152,6 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 139,2 ათასი ლარი.

- სოფელ ჯოყოლოში მდ. ალაზანზე ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობისათვის გათვალისწინებული იყო 91,7 ათასი ლარი. აქედან: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის N693 განკარგულებით - 82,3 ათასი ლარი, ადგ.ბ. 9,4 ათ.ლარი. სამუშაოები შესრულებულია სრულად.

- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან სოფელ შახვეტილაში მდინარე ილტოზე ქვის გაბიონის მოწყობისათვის გახარჯულია 13,3 ათასი ლარი.

- ქვ. ალვანში მდ. ალაზანზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობაზე დაიხრჯა 15,5 ათასი ლარი.

- 2017 წელს 2015 წლის ნაშთიდან გადახდილი იქნა პანკისის ხეობაში მდ. ალაზნის ნაპირდამცავის მოწყობის სამუშაოების 2,5% - 8,0 ათ. ლარის ოდენობით.

## **გარეგანათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

გამოყოფილი თანხების მოცულობამ წლიური გეგმით შეადგინა 166,0 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 154,9 ათ. ლარი. ( გარე განათების ქსელებზე მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება)

## **დასუფთავების ღონისძიებები**

- გამოყოფილი თანხების მოცულობამ წლიური გეგმით შეადგინა 15,0 ათ. ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 14,6 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით შეძენილი იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერები.



## **სანიაღვრე არხების მოწყობა**

სანიაღვრე არხების მოწყობაზე გათვალისწინებული იყო 71,8 ათასი ლარი. აქედან სოფელ დუისში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1401 განკარგულებით გამოყოფილი იყო 66,3 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 53,3 ათასი ლარი, მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 4,1 ათ. ლარი.

## **ბინათმშენებლობა**

წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო- 210,6 ათ. ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 202,9 ათასი ლარი. აქედან:

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით სოფელ კასრისწყლის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (N1 .N2 N3 ტიპის სახლები) სახურავის მოწყობისათვის გამოყოფილი იყო 74,9 ათ. ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით კი 91,9 ათასი ლარი. ფაქტიურად სამუშაოები შესრულებულია სრულად, საკასო ხარჯმა შეადგინა 162,2 ათ. ლარი. მ.შ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 89,4 ათ. ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან ოჟიოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებისათვის დახარჯულია 19,9 ათასი ლარი.
- გ. ანწუხელიძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 9,2 ათ. ლარი.
- 2016 წლის N175 განკარგულებით გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან ჩატარდა ქ. ახმეტაში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია. გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 5,7 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2,6 ათ. ლარი.

## **სპეც. ტექნიკის შეძენა**

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შეძენილია სპეც. სატვირთო ავტომანქანა (ნაგავმზიდი) - 16,3 ათ. ლარის ღირებულების.

## **სკვერების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯები**

სკვერების მოწყობა რეაბილიტაციისათვის 2017 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 101,0 ათასი ლარი. ფაქტიური ხარჯის ოდენობამ შეადგინა 78,8 ათასი ლარი. აღნიშნული თანხიდან

- ქ. ახმეტის სკვერების მოწყობაზე (სათიანოს უბანში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, 20 ბინიანთან არსებული სკვერები) - დაიხარჯა 46,8 ათ. ლარი
- ს. მალრაანის სკვერის მოწყობაზე 5,9 ათ. ლარი
- ზ. ხოდაშნის ეკლესიის შემოღობვის სამუშაოებზე დაიხარჯა 9,3 ათ. ლარი
- ალავერდის სკვერის მოწყობის სამუშაოებზე დაიხარჯა 8,7 ათ. ლარი
- სკვერებში სასმელი წყლის ფანტანებზე დახარჯულია 3,1 ათ. ლარი

## **სოფლის პროგრამა**

სოფლის პროგრამიდან 2016 წლის ნაშთიდან განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ქისტაურის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 24,9 ათ. ლარი;
- დუისის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 10,5 ათ. ლარი;
- ბულაანთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 19,4 ათ. ლარი;

- კუწახტის სასაფლაოს შემოღობვა - 3,1 ათ. ლარი;
- კუწახტის მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა - 0,8 ათ. ლარი;
- ზ. ალვანის სკვერის მოწყობა - 12,5 თ. ლარი;
- ზ. ალვანის სკვერის მოწყობა - 8,5 ათ. ლარი;
- მატნის შიდა გზის რეაბილიტაცია - 10,0 ათ. ლარი.

### **.ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახურის ფუნქციონირებისათვის**

2017 წელს გეგმით გამოყოფილი იყო 417,0 ათასი ლარი, ა(ა)იპის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 416,6 ათასი ლარი.

### **.ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლის სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის ცენტრის ფუნქციონირებისათვის**

2017 წლის გეგმით გამოყოფილი იყო 320,0 ათასი ლარი, საიდანაც სუბსიდირების მუხლით გათვალისწინებული იყო 231,0 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული იყო 89,0 ათასი ლარი. ა(ა)იპის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულებაზე დახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 317,2 ათასი ლარი.

### **საგანმანათლებლო ღონისძიებები**

საგანმანათლებლო ღონისძიებების წლიური გეგმით განსაზღვრული იყო - 1 997,4 ათ. ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 1 872,8 ათასი ლარი.

- საქ. მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით ქ.ახმეტის N2 და N4 საბავშვო ბაღების შენობა ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი იყო 324,1 ათასი ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით გათვალისწინებული იყო 50,0 ათასი ლარი. დღეისათვის აღნიშნულ ობიექტებზე სამუშაოები მიმდინარეობს. 2017 წლის განმავლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებიდან დაიხარჯა 295,7 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 30,9 ათ. ლარი.
- საქ. მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის N1401 განკარგულებით გათვალისწინებული იყო ქვ. ალვანში ს.ბაღის შენობის საძირკვლის გამაგრება. აღნიშნული დანიშნულებით გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენდა 31,8 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 1,7 ათ. ლარი. სამუშაოები დასრულებულია. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 32,2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 30,6 ათ. ლარი. მ. შ ა/ზ 1,5 ათ. ლარი.
- ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლების რამოდენიმე საბავშვო ბაღს, ესენია: სოფ. შახვეტილის ს.ბ. რომელზეც გაიხარჯა 45,3 ათ. ლარი, სოფ. ზ.ალვანის N2 ს.ბ. (სახურავის მოწყობა), რომელზეც გაიხარჯა 29,4 ათ. ლარი.
- ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრისათვის 2017 წლის წლიური გეგმით გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 1446,0 ათას ლარს. საიდანაც სუბსიდირების მუხლით გათვალისწინებული იყო 1420,0 ათასი ლარი. კაპიტალური ხარჯებისათვის - 26,0 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1417,7 ათასი ლარი.

## სპორტულ - კულტურული ღონისძიებები

სულ სპორტულ-კულტურული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 2241,1 ათასი ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 2371,0 ათ. ლარს. შესრულება შეადგენს 94,5%-ს. კაპიტალური ხარჯების წლიურმა გეგმამ შეადგინა 644,1 ათას ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 538,2 ათ. ლარი.

სპორტული - კულტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები ათვისებულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე:

- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 2017 წელს წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 534,4 ათ. ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 472,4 ათასი ლარი. აქედან:
- სოფ. მატნის სპორტული კომპლექსის მშენებლობის თანადაფინანსებისათვის გაიხარჯა 212,8 ათ. ლარი. სოფელ ახშანში მინი სტადიონის მოწყობისათვის გაიხარჯა 39,5 ათასი ლარი. სოფ. ზ. ალვანში სატრენაჟორო დარბაზის მოწყობაზე გაიხარჯა 26,5 ათასი ლარი.
- სოფ ქვ ალვანის სტადიონის შენობის სარეზილიტაციო სამუშაოებზე გაიხარჯა 37,9 ათასი ლარი (აღნიშნული ობიექტის დასრულება ვერ ხერხდება, რადგან მომწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, რის გამოც საქმე სასამართლოზე გადაცემის პროცესშია) სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 51,1 ათას ლარს.
- მალრანის სპორტ დარბაზის სარეზილიტაციო სამუშაოებზე გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 49,9 ათასი ლარი.
- ქ. ახმეტაში სატრენაჟორო სახლის შექმნაზე გაიხარჯა 20,0 ათასი ლარი, 2017 წელს დაიწყო და ამჟამად მიმდინარეობს სარეზილიტაციო სამუშაოები;
- ზ. ალვანის სატრენაჟორო დარბაზის მოწყობაზე გაიხარჯა - 17,1 ათ. ლარი.
- ზვიადაურის სპორტ. სკოლის რეზილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკ. შედგენაზე გაიხარჯა 13,7 ათ. ლარი.
- სოფ დუისის სპორტდარბაზის მოწყობაზე გაიხარჯა 4,4 ათ. ლარი.

## კლუბები და მუზეუმები

კლუბები და მუზეუმების სარეზილიტაციო სამუშაოებზე გათვალისწინებული იყო 84,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 42,0 ათასი ლარი. აქედან,

- ახმეტის კულტურის სახლის რკინა ბეტონის კოჭის გამაგრებითი სამუშაოებისათვის გაიხარჯა 13,4 ათასი ლარი.
- რაფიელ ერისთავის სახლმუზეუმის სახურავის შეკეთებისათვის გაიხარჯა 20,3 ათასი ლარი, ხოლო შემოღობვითი სამუშაოებისათვის გაიხარჯა 8,3 ათასი ლარი.
- ახალგაზრდული ღონისძიებების წლიური გეგმა შეადგენდა 19,0 ათ. ლარს. ფაქტიურად გაიხარჯა 18,2 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფუნქციონირებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 472,2 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 471,8 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის ზ. ზვიადაურის ძიუდოს სასპორტის სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 234,5 ათასი ლარი, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 234,1 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 172,0 ათასი ლარით. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 171,4 ათასი ლარი.

- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“ს ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 168,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 168,0 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 217,5 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 216,9 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 130,0 ათასი ლარი. ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 129,9 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 37,8 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 37,6 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 125,0 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 109,8 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მუნიციპალური ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრის ფუნქციონირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 171,4 ათასი ლარი. ფაქტიურად გაწეული ხარჯის ოდენობამ შეადგინა 165,2 ათასი ლარი.

#### **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით 2017 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 779,7 ათასი ლარი. ფაქტიურად დაიხარჯა 736,9 ათასი ლარი

- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 71,6 ათასი ლარით.
- ა(ა)იპ სოციალური სახლის სუბსიდირებამ შეადგინა 266,7 ათასი ლარი. მ.შ. 267 ბენეფიციარის კვებაზე გაიხარჯა 126,8 ათასი ლარი.
- ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 80 000-მდე (ქულის მინიჭების თარიღიდან გასული უნდა იყოს არაუმეტეს ერთი წელი) დახმარების ოდენობამ 123 ბენეფიციარზე შეადგინა 12,3 ათ. ლარი.
- სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების, ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშების დაფინანსება (გარდა ესთეტიკური ქირურგიის, კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის და ლოგოპედიის მომსახურებისა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანადაფინანსების თანხის ფაქტიურმა ოდენობამ 728 ბენეფიციარზე შეადგინა 251,8 ათ. ლარი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (16 წლამდე) ბავშვები უდედმამო ბავშვები (16 წლამდე) სასურსათო პაკეტი მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის 125 ბენეფიციარზე ფაქტიურმა ხარჯმა 5,7 ათ. ლარი
- 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება - 7 ბენეფიციარზე ხარჯმა შეადგინა 0,7 ათ. ლარი
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 8 ოჯახს გაეწია დახმარება. სულ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა - 2,0 ათასი ლარი
- მრავალშვილიანი (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი და არ იღებენ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ ბენეფიციართათვის იმავე მუხლის 21 პუნქტით გათვალისწინებულ ყოველთვიურ ფულად დახმარებას) ოჯახების დახმარებამ - 45 ბენეფიციარზე შეადგინა 4,5 ათ. ლარი

- პირველი და მეორე ბავშვის შეძენის შემთხვევაში, ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკამდე, (გარდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ოჯახებისა) -ოჯახების დახმარებამ 104 ბენეფიციარზე შეადგინა 11,2 ათ. ლარი
- ოჯახების, რომელთაც ხანძრის ან სტიქიის შედეგად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი( 6 ბენეფიციარს) გაწეული დახმარების ოდენობამ შეადგინა 4,0 ათ. ლარი
- უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯიმა (3 ბენეფიციარზე) შეადგინა 750 ლარი
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენისათვის (27 ბენეფიციარზე) დაიხარჯა 0,9 ათ. ლარი
- დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯებმა 17 ბენეფიციარზე შეადგინა 8,5 ათ. ლარი
- განსაკუთრებულ შემთხვევებში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარების ოდენობამ ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი იმ ფიზიკური პირების და ოჯახებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან, 52 ბენეფიციარზე შეადგინა 25,2 ათ.ლარი
- უსინათლოთათვის ერთჯერადი დახმარების ოდენობამ 18 ბენეფიციარზე შეადგინა 2,7 ათ. ლარი
- რენტეგრირებულ ბავშვთა ბიოლოგიური ოჯახების ერთჯერადი დახმარების ოდენობამ - 9 ბენეფიციარზე შეადგინა 4,5 ათ. ლარი
- დაუნის სინდრომის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების ოდენობამ დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისთვის 8 ბენეფიციარზე შეადგინა 1,2 ათ. ლარი.
- კასრისწყლისა და ილტოს ხეობის მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურების წლიური გეგმა შეადგენდა 15,6 ათ. ლარს. გახარჯულია 14,3 ათ. ლარი.
- თუშეთის მოსახლეობის ავიარეისით მომსახურების ხარჯმა შეადგინა 25,5 ათ. ლარი.